საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება**********

__/__/____

ქ.თბილისი

"რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N 12 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

"რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N 12 დადგენილებაში (სსმ III, 31.10.2005 N 127 მუხ. 1415) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. მაუწყებლობის სფეროში რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირები."

2. მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. რეგულირების საფასურის ოდენობაა მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0.5 პროცენტი.

3. მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"6. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირები და მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირები ვალდებულნი არიან ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, ამ დადგენილებით განსაზღვრული ფორმით (დანართი N1 და დანართი N2) წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის თაობაზე და ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური."

4. დანართი N2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი N2

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშება

მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირებისთვის

……..

(საანგარიშო პერიოდის დასახელება)

……..

(პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი)

…… ……

(ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული (ტელეფონის ნომერი)

პირის დასახელება)

1. მთლიანი შემოსავალი დღგ–ის გარეშე

2. რეგულირების საფასური – I სტრიქონის 0,5 %

3. ფაქტობრივად გადახდილია

4. გადასახდელი თანხა საანგარიშო პერიოდში (სტრ.2 - სტრ.3)

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა.

მუხლი 2
ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.